კიბერ-დანაშაულის საკითხებზე თბილისში რეგიონული კონფერენცია გაიმართება

2010 წლის 13-14 მაისს თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გაიმართება რეგიონული კონფერენცია კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, პოლონეთიდან, ესტონეთიდან, ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან, რუმინეთიდან, ესპანეთიდან და თურქეთიდან, უცხოელი და ქართველი ექსპერტები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სულ 60 მონაწილე.

კონფერენციის მიზანია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება ამ მიმართულებით.

კონფერენციაზე განიხილება შემდეგი ძირითადი თემები:

1. კიბერ-დანაშაულისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები;

2. კიბერ-დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა;

3. ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობა კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში;

4. საერთაშორისო თანამშრომლობა;

5. კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყანაში;

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროექტს საქართველოში იუსტიციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებენ. კიბერ-დანაშაულის შესახებ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით მომზადებული პროექტის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაზრდა კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კიბერ-დანაშაულის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციასთან, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და მოსამართლეთა სპეციალური ტრენინგები.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს განხორციელებულმა კიბერ-შეტევებმა ცხადყო საქართველოში კიბერ-უსაფრხოების უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების არსებობის აუცილებლობა. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდ გამოყენებასთან ერთად ქვეყანაში თანდათანობით იზრდება კიბერ-დანაშაულის საფრთხე, სულ უფრო პრიორიტეტული ხდება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მისი პრევენციისა და გამოძიების გზით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური მონაწილეობით, საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში. რეგიონული კონფერენციის ბოლო დღეს, 14 მაისს ქართული მხარე წარმოადგენს სამომავლო ხედვებს და გეგმებს ამ მიმართულებით.

საკონტაქტო პირი: ტელ: 40 52 02 ელ. ფოსტა: press-center@justice.gov.ge
web: www.justice.gov.ge